მუშის განთავისუფლება თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ძალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.

# მუშა

| | 1 წ. | 6 თ. | | 3 თ. | | 1 თ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მ. | მ. | კ. | მ. | კ. | მ. | კ. |
| თბილისში. | 5 | 2 | 50 | 1 | 25 | — | 50 |
| თბილ. გარ. | 6 | 3 | — | 2 | 50 | — | 60 |
| საზღ. გარ. | 10 | 5 | — | 3 | — | 1 | — |

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10 ს.—2 ს.; საღამოს 5 ს.—7 საათ.

ა დ რ ე ს ი: თავად-აზნაურობის სახლი, სასახლის ქ., № 117.

№ 21 ჭარასკევი 1 ივლისი 1906 წ. თბილისი № 21



შ ი ნ ა ა რ ს ი:

1) ერთი რეაქცია მიდის, მეორე მოდის... 2) ფელეტონი: მოკლე სისტემა ანარქიზმისა (მალატესტასი). 3) ქუთაისის ციხის ტუსაღების გამო. 4) ახალი ამბავი. 5) რუსეთის ქრონიკა. 6) უცხოეთი. 7) წერილი რედაქციის მიმართ. 8) დეპეშა.


**ვთხოვთ** თვიურ ხელის მოწერლებს (თბილისში და თბილისს გარეთ) შემოიტანონ ხვედრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით შევაჩეროთ გაზეთის გზავნა.

## ერთი რეაქცია მიდის, მეორე მოდის ერთი მთავრობა მიდის, მეორეც მოდის.

დღევანდელ მთავრობის რეაქციამ ფრთები შეიკეცა და მიდის იქით, საიდგანაც მოვიდა, მაგრამ საუბედუროდ ჩვენ, მეორე რეაქცია იდგამს ფეხს. პირველი რეაქცია გახლავთ დღევანდელ,ბიუროკრატიის—მეორე კი ს.-დემოკრატიის. ერთი მთავრობა ესალმება სიცოცხლეს მეორე იბადება, რომ ველარ ვშორდებით და ველარ, ამ მთავრობას და ბატონობას. ეს მომავალი მთავრობის მოტრფიალენი თავისუფლებაზედ გვიქადაგებენ, მაგრამ ეს სულ მტკნარი სიცრუეა, სად მთავრობა, ბატონობა და სად თავისუფლება. უმჯობესი იქნება სიტყვის თავისუფლებას ნულარ ახსენებენ ისინი, რომლებიც მთავრობის მოტრფიალენი არიან. თავისუფლება ბევრნაირია, და რომელ თავისუფლების მქადაგებელნი არიან ესენი? შეიძლება ვაჭრობის თავისუფლებას ქადაგობენ) მთავრობასთან ,,თავისუფლება'' შორს დგას, ამას ბევრი დამტკიცება აღარ სჭირია თავისთავად დამტკიცებულია. ყველა დაბრმავებული მიხვდება, რომ სახელმწიფო და კანონები ეწინააღმდეგება ნამდვილ თავისუფლებას. ჩვენ დღეს მუშები შევცქერივართ ერთათ ერთ პარტიას სოციალ-დემოკრატიას, გვიხარიან, თავისუფლებაზედ რომ გვიქადაგებენ, გვიხარიან, რომ იმედებს გვაძლევენ, გიხსნით დღევანდელ გაჭირვებულ მდგომარეობიდგანაო თითქმის ანგელოზებათაც დაგვისახავს, სოც.-დემოკრატია, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ჯერ ის ვერ შევვიგნია, რომ როგორი თავისუფლებას გვიქადაგებენ, როგორ გზაზე გვაყენებენ. ენას ტკბილადაც შეუძლია სთქვას და მწარედაც; მაგრამ საიდგან დავიჯეროთ, რომ ბატონი სოც.-დემოკრატები მწარე ენას არ იხმარებენ მომავალ თავიანთ მთავრობაში. ტკბილ-ტკბილი და მომხიბლავი ენა დღეს დღეობით საჭიროა ამათთვის, რომ მომავალი მთავრობა ჩაიგდონ ხელში, კანონები და ხალხზე ბატონობა ხელთ იგდონ, და მერმედ ტკბილი ენა მწარეზე შესცვალონ; თუ არ დაემორჩილე მაშინ ენის მაგიერ ხიშტებსაც კი იხმარს, ასე რომ დღევანდელი მათი ტკბილი სიტყვები მომავალ მთავრობაში მწარედ გადაიქცევა. მაშ მომავალშიდაც კიდევ ბრძოლა დაგვირჩება ს.-დემ. მთავრობასთან. დღეს რომ ს.-დემოკრატები გვიქადაგებენ დღევანდელ მთავრობის უვარგისობას, მაშინ ანარქისტები დაგვიწყებენ ქადაგებას ს.-დემოკრატების მთავრობის უვარგისობას. ამაზედ რასაკვირველია ს.-დემოკრატია ყოველ ღონეს იხმარს ანარქისტების მოსასპობად, ისე როგორც დღევანდელი მთავრობა ცდილობს მოსპოს დღეს მისი მოწინააღმდეგე. ასე რომ მაშინ ისევ ბრძოლაა საჭირო სრულ თავისუფლებისათვინ. მაშინაც საჭირო იქნება მეორე და მესამე რევოლიუცია თავისუფლების მოსაპოებლად და ასთე ამგვარად უნდა იღვაროს ყოველთვის განმეორებით მშრომელი ხალხის სისხლი. ნუ თუ არ შეიძლება ნაკლები სისხლის ხარჯით მშრომელმა ხალხმა დღევანდელი გამეფებული უსამართლობა ყოველივე მხრით, მოსპოს და მეტი ნაყოფი მიიღოს. რა უშლის ხელს? არაფერი. მხოლოდ სოციალ-დემოკრატია უშლის ხელს და შეუძლებლად მიაჩნია, მიტომ რომ, იმათაც უნდათ ბატონობა ბატონობა მოუწიოსთ და განცხრომით იცხოვროს. მინისტრობას დაიწუნებენ გგონიათ?! არა, იგენი მომავალ მთავრობაში მართალია თავიანთვინ ძალიან სიკეთეს გამოელიან და მართალიც არის, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ პროტესტი და სოფ. გაჭირვებული გლეხკაცობა ისთე დარჩება, როგორიც დღეს არის. სჯობს მუშებო, ისევ უყუროთ რას ამბობენ ანარქისტები მთავრობის შესახებ. თორემ ბოლოს ვინანებთ. ვეცადოთ გავიგოთ თორემ, მერმედ გვიანღა იქნება. ბევრიდაცინვითაც გაიძახის ანარქისტების აზრი კარგია მაგრამ, ჯერ არ შეიძლება განხორციელდესო. ბევრი იმასაც გაიძახის ხალხის გამათახსირებელი და დამღუპავი არისო, და სხვა. ნუ თუ არ უნდა დავინტერესდეთ და გავიგოთ მართალია ეს, თუ არა? მაშ მუშებო, ფრთხილად ვეძიოთ გზა, რომ კიდევ შემდეგში ისევ ისე არ დაგვჭირდეს ალებული ბარიკადების ალება.

გ—ა. ვ—ძე.

## ქუთაისის ციხის ტუსაღების პროტესტის გამო.

იხილე „ლამპარი“ № 15.

წავიკითხეთ ეს პროტესტი და... გვეწყინა. ნუ თუ იმ ადამიანებს, რომლებმაც იმდენი გაბედულება გამოიჩინეს, რომ თავის რწმენის სამსახურისათვის ციხეში ზიან, იმდენი გონებრივი დამოუკიდებულობაც ვერ გამოიჩინეს, რომ ეკითხნათ ვინ ასტეხა ეს აურ-ზაური და ვაი უბედურებაო. ვიმეორებთ, რომ სანამ „ლამპარმა“ თავის 28 №-ში პროვოკატორული და ნამდვილ „დანოსის“ მქონე ხასიათის წერილი არ დასტამბა, ჩვენ გარდა იდეიური კრიტიკისა სხვა არაფერი მოგვითავსებია ჩვენ გაზეთებში. აი ფაქტი. ეს ფაქტი ალბად დაუმალეს ქუთაისის ციხის ტუსაღებს. მათ აჩვენეს „მუშის“ 1 № და მათაც „მუშის“ უმიზეზოთ ასეთი წერილის დაბეჭვდა აუხსნელად მოეჩვენა. ქუთაისის ტუსაღები სთხოვენ „ლამპარს“ მხოლოდ იდეიური სტატიებს დაუთმოს ადგილი. ძალიან კარგი. მოხარულნი ვართ. „ლამპარს“ რომ თავიდგან იდეიური კრიტიკის მეტი არაფერი გაეშვა ჩვენს წინააღმდეგ არც ეს აყალმაყალი ასტყდებოდა. მაგრამ „ლამპარმა“ პროვოკაცია და „დანოსი“ ამჯობინა. მედანოსე კი ლანძღვა-გინების ღირსია. რამდენიც უნდა ლანძღო და აგინო მედანოსე და პროვოკატორი კიდევ არ იქნება ის საკმაოთ გალანძღული. ვიმეორებთ, პროვოკაცია და „დანოსი“ „ლამპარმა“ ჩაიდინა თავის 28 №, და ის ვაჟბატონები, რომელნიც ჩვენს ლანძღვა გინებაზე ლაპარაკობენ და ამ ფაქტს აფუჩეჩებენ პატიოსნებას ღალატობენ, მორალური ტაქტიკის უქონლობას იჩენენ. თუ პროტესტანტები ნაქირავები პროტესტანტები არ იყვნენ, ისინი არ დამალავენ, „ლამპრის“ დანაშაულობას. რაც შეეხება ქუთაისის ციხის ტუსაღებს ჩვენ გვწამს ჯერ-ჯერობით მათი პატიოსნება და სამართლიანობა მხოლოდ ვფიქრობთ, რომ ცალმხრივად გააცნეს ინციდენტი და როცა ისინი გაიგებენ სავსებით ვინ იყო ამ სამწუხარო პოლემიკის მიზეზი,-ისინი თვითვე გასწორებენ თავიანთ შეცდომას. ვუცდით.

უპატიოსნობაა ყვირილი იმისი რომ ჩვენ ვილანძღებით იმათთაგან რომელიც „ლამპრის“ 28 № დანოსსა და პროვოკაციას იცნობს. თუ ამ პოლემიკის შესახებ პროვოკაციაზე ლაპარაკი შეიძლება, ამ პროვოკაციის პასუხი „ლამპარს“ უნდა მოეთხოვოს. ვინც ავრე არ იქცევა. ვინც „ლამპრის“ უსინდისობას (№ 28) მალავს და ვინც ჩვენ პოლემიკას უმიზეზოთ სახავს, ის პატივ-საცემი არ არის, მისი პროტესტი საფურთხია, რადგან ის ნაყიდია, მისი სამართლიანობა საზიზღარია, რადგან ის ნაყიდი სამართლიანობაა. მისი აღშფოთება ვითომ და ჩვენი უგვანი ყოფა-ქცევით, აღსაშფოთებელი იეზუიტობა და უწმინდურებაა, რადგან ის ხელოვნური და ნაყიდი აღშფოთებაა. ჩვენ არ ვართ იმ მორალისა მომხრე, რომელიც თხოულობს, რომ გვლანძღონ გვცემონ, სიკვდილი დაგვპირდნენ და ჩვენ კი ხმა არ ამოვიღოთ. ჩვენ უარ ვყოფთ ბატონ ყმობას თუნდ ის სოციალ-დემოკრატიულიც იყოს. ჩვენ ვეცდებით თავი დავიცოთ. როცა „ლამპარი“ სისაზიზღრესაც ჩაიდენს და ყვირილსა მორთავს: არიქა, უშველეთ ანაქისტებმა ესა და ესა ჰქნესო, რომ ყურადღება ანარქისტებისაკენ მიაქციოს და თავის სისაზიზღრე გადამალოს, ჩვენ ვეცდებით ამ გარყვნილების საბუდარს მივაქციოთ ყურადღება. ასე ვშვრებოდით და ასე ვიზამთ, რაც უნდა ჰქნათ და რაც უნდა სთქვათ მაინც ასე ვიზამთ. თქვენი ბრძანება ჩვენ ვერ შეგვაჩერებს. თუ გინდათ ეს პოლემიკა შესწყდეს დაანებეთ თავი თქვენს გაზეთში ჭორების, ცილისწამებისა და დანოსების წერას ჩვენ წინააღმდეგ და ჩვენც დაგანებებთ თავს და ამ პოლემიკასაც შევსწყვეტთ. თუ არა და რამდენ სიბინძურესაც დადებთ ბინძუ-

რი „ლამპრის“ ფურცლებზე იმდენჯერ ჩაგაკვრევინებთ ცხვირს თქვენივე სიბინძურეში.

კ.—

—

P. S. „მუშის“ სახელის გამოცვლაზე კიდევ ლაპარაკობდენ „ლამპარში“. ეს მეტია, ეს შეშლილობაა, სიმხეცეა, ზნეობრივი და და გონებრივი სიავგლახეა. ჩვენ მაგ ბრძანებას არ დავემორჩილებით თუნდ რომ...... გასკდეთ გაზეთს მაინც იმივე სახელით გამოუშვებთ, რადგან ეს ჩვენი ნებაა და ჩვენი უფლებაა.

# ახალი ამბავი

—

როგორც ადგილობრივმა გაზეთებმა აღნიშნეს 28 ივნისს დავიდოვის ქუჩაზე დაიჭირეს ორი სრულებით ახალგაზდა, სიცოცხლით სავსე, ყმაწვილი კაცები ირაკლი ჩარკვიანი და გრ. მამაცოვი. ამათ აბრალებდენ აფიცრის ტემნიკოვის სიკვდილის განსრახვას. ჯერ, როგორც გვქონდა აღნიშნული, სასტიკათ სცემეს საცოდავებს, ასე რომ სისხლები დასდიოდათ; მერე მიუყვანიათ საკამენდატო მართველობაში, აქედან წაუყვანიათ შუაღამის დროს, ვითომდა, მეტეხში ჩასასმალათ. როცა მიუღწევიათ მეტეხის ციხის კარებისაკენ მოსახვევში ერთი მეორეზედ გავარდნილა ექვსჯერ რევოლვერი და როგორც აღმოჩნდა მოუკლავთ ორთავე ყმაწვილები. აი როგორ აგვიწერენ ამ ამბავს. გუშინ (28 ივნ.) ოთხშაბათს ღამის საათის 11 და 5 წამზე ერთმა აფიცერმა და ოთხმა სალდათმა მეტეხის ციხესთან ამოატარეს ორი ახლად დაჭერილი ტუსაღი. ციხის მოსახვევში ზედი ზედ გავარდა ექვსჯერ რევოლვერი და მოგვესმა „ვაიმე, ვაიმე“. სალდათებს არ უსვრიათ; აფიცერს თვითონ უნდა მოეკლას, „გაქცევის მიზეზი“ შეუძლებელია, რადგან სადაც მკვლელობა მოხდა ყოველ ათ ნაბიჯზედ დარაჯი სალდათი სდგას და თუ გაქცევა უნდოდათ უფრო მოხერხებული დრო ექნებოდათ ქალაქიდან ციხემდის. სადაც ეს მკვლელობა მოხდა არც გამომძიებელი მოსულა და პროკურორი. ერთი საათით მეტეხის ქუჩა შეკრული იყო და როდესაც დახოცილები აალაგეს ხალხს ნება მისცეს გავლის“.

— როგორც „ბაქო“ იტყობინება, ბაქოს პოლიცმესტერის თანაშემწე ქლენტი, მოჰკლეს ანარქისტ-კომუნისტებმა.

— 28 ივნისს საღამოს 7 საათზე ნამესტნიკის კანცელარიის სტამბაში გასკდა როგორც ამბობენ „ჯოჯოხეთის მანქანა“ (адская машина) საშინელი ხმა გახლდა. ხალხი დაფრთხა და აქეთ იქით ეცა. დიდი ხანს გონს ვერ მოვიდნნ. შენობას ცეცხლი გაუჩნდა. მალე მივიდა ცეცხლის ჩამქრობი რაზმიც, ცეცხლი ჩააქვრეს ზარალი დიდი არ არის. არიან დაშავებულები, დაჭრილნი არიან გოროდოვოი და ორი სხვა. ცეცხლის დამქრობთაგან 12 კაცი მოჰყვა ცეცხლში ამთგან დაიჭრენ 6 კაცი რომელთაგან 4 კაცი მძიმეთა დაჭრილი.

—გაიხსნა დაბეჭდილი სტამბები „ცისკრის და გუტენბერგის“

— წასულს ნომერში შეცდომა მოგვივიდა დაბეჭდილ იყო, „პროგრესი“ გუტენბერგთან იბეჭდებაო, უნდა ყოფილიყოს „პროგრესი“ ცისკარში იბეჭდებაო.

— როგორც გვატყობინებენ ქუთაისიდან ჩამოსულს ვაჭარს სარდიონ თორთლაძეს 28 ივნისს ჯიდგან 908 მანეთი ამოაცალეს.

— რადგან თავს დასხმა გახშირდა ქალაქში ქალაქის ბეითალი სთხოვს გამგეობას შეაიარაღოს ქალაქის საყასპობის მსახურნი 3 მაუზერის სისტემის რევოლვერებით და აგრეთვე შეიძინოს ბეითალთათვის და ორი დარაჯისათვის ნებართვა იარაღისს ტარებაზე.

— 30 ივნისს თბილისიდან სარაკამიშს გაემგზავრენ ელისავეტოპოლის პოლკის ჯარის კაცნი თავიანთი აფიცრებით.

— როგორც ქალაქის თავმა აცნობა უმუშათ დარჩენილთა ბიუროს, ინტელიგენტთათვის დანიშნული სამუშაო გაიხსნება ახლო მომავალში, რადგან ქალაქმა იშოვნა ფული, რომლითაც შეუძლია სამუშათ მიეცეს 250 კაცს. ამან დააფიქრა უმუშათ დარჩენილთა ბიურო, რომელსაც 500 კაცი ისეთი ჰყავს ჩაწერილი, რომელთაც მეტათ უჭირსთ და დღე დღეზე შესცქერიან ამ სამუშაოს.

— 29 ივნისს საღამოს 9 საათზე ნიკოლოზის ქუჩაზე ვიღაც უცნობმა რევოლვერით მოჰკლა გოროდოვოი სახაროვი. მკვლელი მიიმალა.

— როგორც შევიტყეთ ამ... კრება სთხოვს სომეხ-გრიგორ... ქათალიკოსს, რომ მან ნება ... თოს მეორეთ ქორწინებაზე დამ... ვებულს სამღვდელოებას.

— სოფელს სიქთარუიდან ... რაჩის მაზრიდან გვატყობინ... რომ 20 ივნისს ნიკო რობაქ... დაესხენ თავს თოფებით შეიარ... ბული კაცები წაართვეს 20 მან... და მიიმალენ.

— შორაპნისავე მაზრიდან გვა... ყობინებენ რომ სოფელს ვარციხე... ში 22 ივნისს თავს დაესხენ ... რაღებული პირნი მ. ხიჯაკაძეს ... ღეს 120 მანეთი ფული 12 ... ნივთები, და მიიმალნენ, რამდენ... დღის შემდეგ ხიჯაკაძემ გამო... თავს დამსხმელები, რომელნიც ... მოჩნდენ იმავე სოფელში მცხო... ბნი ხიჯაკაძეები, რომელთაგან ... თი კონსტანტინე შეიპყრეს მე... კირილე კი გადიმალა.

— იმავე სოფლიდან გვატყო... ნებენ რომ 20 ივნისს ექვსი ... რაღებული კაცი თავს დაესხენ ... და ავქსენტი ნიკობაძეების სახ... წაიღეს პირველისაგან 600 მ. ... ლათ და 76 მ. ნივთები, ხო... მეორესაგან 100 მ. ნივთები, ... დამსხმელები მიიმალენ.

— გუშინ საღამოს ნაძალადე... ღვინის სარდაფში ერთი ჩაჩანი ... მოსულიყო და ისე დამთვრა... რომ იქ ერთმა კაცმა წაართვა ... დანკა. მალე ჩაჩანმა იგრძნო ... ღაც, და გამოეკიდა თოფის მტა... ბელს, ჩაჩანი დაეწია იმას, წაართვა ... ბერდანკა და ისევ ამ სარდაფში ... მოვიდა და დაიწყო სროლა, ...

---

# ფელეტონი

—

**მოკლე სისტემა ანარქიზმისა**

(ე. მალატესტასი)

თარგმანი

(გაგრძელება) *)

**საუბარი მეოთხე.**

ცეზარ. თქვენთან საუბრი მე დიდ კმაყოფილებას მგვრის ხოლმე. თქვენ აძლევთ ოქვენ საბუთებს ასეთ მტკიცე რწმენას. და თქვენ მართალიც ხართ ბევრში. შეუმსგავსებლობა ცხადი თუ ფარული, მართლაც არსებობს ეხლანდელ სოციალურ წყობილებაში. მაგალითად, ისეთი რამ, როგორიც არის სადამოჟნო ბაჟი, ძალიან ძნელია გასაგებათ: იმ დროს, როცა ჩვენში ხალხი იხოცება შიმშილისაგან, სიღარიბისაგან და უპურობისაგან, მთავრობა ხელს უშლის ხორბლის თავისუფლათ შემოტანას ამერიკიდან, იმ ქვეყნიდან, სადაც იგი ძალიან ბევრია იმაზე, რავდენიც არი საჭირო, და სადაც პურის პატრონები მხოლოთ იმაზედ-ღა ოცნებობენ, თუ როგორ მოგვყიდონ იგი ჩვენ. რას იტყოდით თქვენ იმ კაცზე, რომელსაც შიოდეს და ჭამა კი არ მოინდომოს?! ეს კი ჰგავს ამას და! მაგრამ...

გეორგ. მაგრამ მშიერი ხომ არც მთავრობა არის და არც იტალიურ პურის პატრონები, რომელთა ინტერესებით მთავრობა ხელმძღვანელობს და ბაჟს აწესებს პურზე.

ეს დამოკიდებული რომ იყოს იმათგან, ვინც მშიერია, მერწმუნეთ, ისინი პურზე უარს არ იტყოდენ.

ცეზარი. ეს მართალია. და თქვენთვის ძნელი არ არის გაიტაცოთ ხალხი ამისთანა საბუთებით; ხალხი ხომ ადვილად ითვისებს იმ საბუთებს, რომლებიც იხრებიან მის სარგებლობისაკენ! მაგრამ შეცდომაში რომ არ ჩავარდეთ, საჭიროა განვიხილოთ საკითხი ყოველი მხრიდან, რასაც მე ვაპირობდი, როცა თქვენ გამაწყვეტინეთ. რასაკვირველია, ამკრძალავი ბაჟები, უმთავრესათ, ემსახურებიან მემამულეთა ინტერესებს; მაგრამ, მეორე მხრით, საზღვრები ღია რომ იყოს, მაშინ ამერიკელნი, რომელნიც პურს და ხორცს უკეთეს პირობებში შოულობენ ვიდრე ჩვენ, გაავსებდენ ჩვენს ბაზარს, და რაღას იზამდენ მაშინ ჩვენი გლეხები? მემამულეები გაღატაკდებოდენ, მაგრამ მუშათა მდგომარეობა კიდევ უარესი იქნებოდა. პური გაიყიდებოდა გირვანქა 1 კაპეიკათ, მაგრამ რადგანაც ამ კაპეიკის შოვნაც შეუძლებელია, ადამიანები შიმშილისაგან გაწყდებიან ისე, როგორც წინეთ. და მერე საჭიროა ხომ მისცე ამერიკელებს მათი პურისთვის, თუ კი იტალია არაფერს არ აწარმოებს, რითი უნდა გადავიხადოთ პურის ფასი?

რასაკვირველია, თქვენ შეგიძლიათ გვიპასუხოთ, რომ იტალიაში გაცვლა-გამოცვლისათვის შეიძლება იმ პროდუქტების მოყვანა, რომელთაც ხელს უწყობს იტალიის ჰავა და ნიადაგი, როგორც, მაგ., ღვინო, ფორთოხალი, ყვავილები და სხვ. მაგრამ მაშინ რა, თუ იმ ნივთებს, რომელთა წარმოება ჩვენ შეგვიძლია ნაკლები დახარჯვით, არ ექნებათ გასავალი ან იმიტომ, რომ ისინი არ არიან ხმარებაში შესული, ან იმიტომ, რომ სხვები თვითონ მოინდომებენ აწარმოვონ ასეთივე ნივთები? მაშინ რაღა ვქნათ? ამასთანავე თქვენ გავიწყდებათ, რომ მარტო კარგი კლიმატიური პირობები კიდევ ... არის საკმარისი; საჭიროა კაპიტა... ლი (თანხა), კრედიტი, საერთაშო... რისო სავაჭრო მისვლა-მოსვლა ... განსაკუთრებით, მოცდა-ლოდინ... მხოლოდ რითი იქნებიან მაძღარ... მოლოდინში?

გეორგ. ძალიან კარგი! თ... მიუთითეთ უუსაჭიროესზე. თა... უფალ გაცვლა-გამოცვლას არ ... ძლია ისე, როგორც პროტექც... ნიზმს (მფარველობითი სისტემა) ... დასწყვიტოს კითხვა სიღარიბის ... სახებ. თავისუფალ გაცვლა-გამო... ვლის დროს იგებს მომხმარებე... პროტექციონიზმის დროს კი, ... იქით, აგებს მომხმარებელი, ... იგებს მწარმოებელი; და ბოლ... პროტექციონიზმი და თავისუფ... გაცვლა-გამოცვლა—ერთი და ... ვეა, რადგან მუშა ერთ და ... დროს არის მწარმოებელიც და ... ხმარებელიც.

და ასე იქნება მანამდი, ... ბოლო არ მოეღება კაპიტალ... სისტემას.

მუშები რომ თავის სარგებლ... სთვის მუშაობდნენ და არა მ... ხნეების ჯიბის გასასქელებლად, ... ველი მხარე აწარმოებდა იმე...

*) იხ. გაზ. „მუშა“, № 15.

ღნენ სხვები აქ მყოფნი და ჩხუბის დროს გაუტეხეს ჩაჩანს თავი, ამ უკანასკნელმა დაიწყო რევოლვერით სროლა და როგორც იყო გაქცევით უშველა თავის თავს.

## რუსეთის ქრონიკა

—

ვარშავაში ააფეთქეს დინამიტით ძეგლი, რომელიც დადგმულ იქმნა მთავრობის მიერ გენერალ იაკიმოვიჩის პატივსაცემლად, რომელიც იღებდა პოლშის დამშვიდებაში 1831 წელს მონაწილეობას. აფეთქება მოხდა ღამით, ძეგლი ნაკუწნაკუწად იქცა

(ეხო).

—

როგორც ეტყობა საზღვარ-გარეთ ძლიერ ინტერესით ეკიდებიან აგრარულ მოძრაობას. კონსულები კვირაში ორჯელ ატყობინებენ ტელეგრამით ელჩებს; ისინი კი გზავნიან საზღვარ გარეთ.

(გოლოს ტრუდა).

—

„XX ვეკში“ თოთხმეტს ივნისს მოთავსებული იყო შენიშვნა ქ-ნ №-ზედ, რომელიც გადაიყვანეს ლიტოვსკის ციხიდან გამოსაცდელათ წმ. ნიკოლოოს სასწაულმომქმედის საავადმყოფოში. ამის შესახებ „სოვრემენიკ“-მა მიიღო საშინელი დაწვრილებითი ცნობები. ქ-ნი №.-მარიამ ზილბერმანი არის, რომელიც პეტროპავლოვსკი ციხეში იყო ჩასმული ანარქისტ-კომმუნისტ პ. ტოლსტოის საქმზე. პეტრე-პავლეს ციხეში ჟანდარმერია ძალიან ცდილობდა მიეღო რაიმე ჩვენება ქ ნ ზილბერმანისაგან, მაგრამ ყოველმა მცდელობამ ამაოდ ჩაიარა, რადგან ზილბერმანმა კატეგორიულად განაცხადა, რომ ის არავითარ ჩვენებას არ მისცემს. ტოლსტოი ამ დროს უკვე აღარ იყო ციხეში,—ის გამოსაცდელათ გადაიყვანეს წმ. ნიკოლოოზის საავათმყოში. და ჟანდარმერიამ გადასწყვიტა გადაიყვანოს იქ ზილბერმანიც; ამით ის ფიქრობდა, რომ მისი (ზილბ.) ტოლსტოისთან შეხვედრა საგიჟეში გამოიწვევს ძლიერ შთაბეჭდილებასაო და ამ ნაირათ ჟანდარმერიას შეძლება ექნებოდა რაიმე გამოეტყუვა მისაგან. ზილბერმანი გადაიყვანეს საავადმყოფოში, მაგრამ ტოლსტოი იქ უკვე აღარ იყო,—იგი გაქცეულიყო. საავადმყოფოს მოწყობილობამ ცუდი გავლენა იქონია ზილბერბანზე; ის დაავადმყოფდა და იწყო ბოდვა. ამით ისარგებლეს ჟანდარმებმა, რომელნიც არ შორდებოდენ ზილბერმანს; ბოდვის დროს ის ხშირად ახსენებდა ტოლსტის სახელს. როცა შეიტყვეს ის, რის შეტყობაც უნდოდათ, ჟანდრებმა დასტოვეს საავათმყოფოში ზილბერმანი და შემდეგ ის თითქო არც ეინტერესებოდათ. სრულიად ჯანმრთელი ზილბერმანი იქაურ მოწყობილობის ზედგავლენით ავათ გახდა საშინლათ, და მხოლოთ იმის წყალობით, რომ მას ყურადღება მიაქცია ცნობილმა ფსიხიატრმა ფროფ. ჩეჩოტმა,—ის გადაიყვანეს საავათმყოფოდან ლიტოვსკი ციხეში. მარია ზილბერმანმა დაჰყო იქ, ექვს თვეზედ მეტი. დაჭერის დროს მას ვერ უპოვნეს ვერავითარი დოკუმენტები.

## უცხოეთი.

—

**საფრანგეთი.** 13 ივნისს პარიჟში კალატოზთა გაფიცვა დაბოლოვდა. ერთი კვირის გულმოდგინე ბრძოლის შემდეგ, მუშებმა გამოჰგლიჯეს პატრონებს კვირეული მოსვენება, აგრეთვე სამუშაოს ფასის მომატება ყოველ ნაირ კორპორაციათა დარგში.

მხოლოდ ქვის მთლელებმა და მლესავებმა განაგრძეს გაფიცვა, ისინი 2500 კაცამდე თხოულობენ კვირეულ მოსვენებაზე მეტს, ქირის მომატებას და რვა საათის სამუშაო დღეს.

გაფიცვა ტოფოგრაფების ხდება ძალიან მშვიდობიანად. თითქმის ყოველ დღე სამუშაო ბირჟაში იმართება კრებები და დიდი ხანი არ არის რაც ხმა გავრცელდა, რომ მდგომარეობა მომეტებული ნაწილისა პატრონებისა გაფიცვის გამო აუტანელი გახდა.

რამოდენიმე წელიწადია უკვე, რაც მუშა დალაქები საფუძვლიანად თხოულობენ კვირეულ მოსვენებას. ამის შესახებ სინდიკატმა წარუდგინა პატრონებს ულტიმატუმი, რომლის ვადა იყო დანიშნული კვირას 17 ივნისს, დალაქებისათვის არ იყო გაფიცვის საჭიროება. კვირას შუა გულში და ორშაფათს პარიზის გარეთუბანში სადალაქოები დაკეტილი იყო. ამ გამარჯვებამ, რომელიც სიამოვნებით აღინიშნება, ბედნიერად დააგვირგვინა დალაქთა სინდიკატის ხანგრძლივი ბეჯითობა.

14 ახალგაზდა ყმაწვილს, რომელნიც დაჭერილი იყვნენ, ტელეფონის საზოგადოების ქარხანაზე გრენელში დაცემის გამო, მიუსაჯეს ექვსი თვით ციხე, არა ამიტომ, რომ ისინი უმთავრესს მონაწილეობას იღებდენ ამ საქმეში, არამედ იმიტომ, რათ მოიქმედეს იგი! და იმიტომ რომ მსაჯულეები ფიქრობდენ, რომ დამნაშავენი პასუხს უნდა აგებდენ, ყველას გულისათვის. ეს განაჩენი ველური სიმკაცრისა იყო დამტკიცებული საკასსაციო სამართალშიაც. ვინ დასთვლის ყველა იმ მუშებს, რომლებითაც ეხლა გავსილი არის რესპუბლიკანური ციხეები.

—

**იტალია** თამამად, ჯელებო! მილანიდან დეპეშით ატყობინებენ გაზეთებს 2 ივნისს:

„გაფიცვამ 600 სულისა კაცისა და ქალისა ბრინჯის პლანტაციებში მომუშავებისა მიიღო ერთბაშათ საშინელი მწვავე ხასიათი. გუშინ-დილით გაფიცულთა გროვა შევიდნენ ვერსელში (ქალაქი 30.000 მცხოვრებლებით) და ჩაიდინეს არა გაგონილი მრავალი ბარბარიული აქტი: გადააბრუნეს შუქის გადამცემელი ფანრები, დაამტვრიეს შადრევნები ამოჰგლიჯეს ხეები, დაამტვრიეს მაღაზიების და სახლებს შუშები.

გამოაცხადეს საერთო გაფიცვა, და ყველა მუშები იძულებულნი იყვნენ მუშაობისთვის თავი დაენებებიათ. კრიტიკული მდგომარეობა შეიქნა, რადგანაც შეიარაღებული ძალა გვიან მიაშველეს. ოფიცერი, კაპი-

---

რამდენიც მას ესაჭიროება, დაწესდებოდა საერთაშორისო მისვლა-მოსვლა იმ მიზნით, რომ განაწილდეს შრომა იმის და მიხედვით, თუ სად როგორია ნიადაგი, ჰავა (კლიმატი), ნედლი მასალა, მცხოვრებლებია და სხვ.; ამ ნაირად, ყველა ადამიანები მიიღებდენ უფრო მეტ დაკმაყოფილებას უფრო ნაკლები დახარჯვით.

ცეზარ. ჰო, მაგრამ ეს ხომ მშვენიერი ოცნებებია მარტო!?

გეორგ. ეხლანდელ დროში დიახ, ეს ოცნებაა. მაგრამ როცა ხალხი შეიგნებს თავის სარგებლობას, ოცნება გადაიქცევა სინამდვილეთ. მხოლოთ ვიწრო ეგოიზმს შეუძლია ხელი შეუშალოს მის განხორციელებას.

ცეზარ. არის სხვა დაბრკოლებაც თქვენ წარმოიდგინეთ, რომ საკმაოა ეხსნათ თავი მეპატრონე—ფაბრიკანტების ბრჭყალებიდან,—და ყველა კმაყოფილებით იცხოვრებს.

გეორგ. რასაკვირველია, არა კმარა მარტო დანგრევა, რომ გამოვიდეთ გაჭირვებულ მდგომარეობიდან, რომ მოეწყოს წარმოება ისე, რომ ყველამ დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებები, საჭიროა დიდი მუშაობა. მაგრამ ხალხს არ სჭირია შრომას მიეჩვიოს! იყოს მხოლოთ შეძლება, რომელიც ახლა არ არის!

ჩვენ გვაშფოთებს არსებული წესწყობილება არა იმიტომ, რომ უსაქმო ადმიანები ცხოვრობენ სრულ ფუფუნებაში,—თუმცა ეს, მართალია, ძალიან არ გვეპიტნავება,—არამედ, უმთავრესათ, იმიტომ, რომ ეს მუქთახორები განზრახ ქმნიან შრომის შეუძლებელ პირობებს და ამით ხელს უშლიან აწარმოვონ ყველაფერი და ყველასთვის.

ცეზარ. თქვენ აზვიადებთ. სრული სიმართლეა, რომ ხანდახან საქმის დამწყებელნი სპეკულაციას ეწევიან პროდუქტების სიცოტავით; მაგრამ ეს უფრო ხშირათ იმიტომ ხდება, რომ მათ არა აქვთ საკმაო კაპიტალი (თანხა). წარმოებისთვის საჭიროა არა მარტო მიწა და ნედლი მასალები,—თქვენც იცით,—საჭიროა კიდევ იარაღები, მაშინები, სადგომები, და ბოლოს, საჭიროა კაპიტალი და ძალიან დიდიც.

რამდენი საქმე ისევ რჩება პროექტათ, ან თუ დაიწყო, ვერ გაუძლო და გაკოტრდა კაპიტალის სივიწროვისაგან. იფიქრეთ მხოლოდ, რა მოხდება, რომ დადგეს სოციალური რევოლიუცია, რომლისკენაც თქვენ მიისწრაფვით! კაპიტალის მნიშვნელობა დაეცემა, იქნება ურთიერთობათა და დამოკიდებულებათა არევ-დარევა, რომელიც ახლოა საზოგადოების სილატაკესთან.

გეორგ. კაპიტალის სიმცირე—ეს მეორე შეცდომაა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, მეორე სიცრუეა არსებული წეს-რიგის დამცველთა. კაპიტალი არ ყოფნის მხოლოდ ამა თუ იმ კერძო საქმისთვის, რადგანაც მას ებღაუჭებიან და ხელიდან არ უშვებენ კერძო მეპატრონეები; მაგრამ საზოგადოება, როგორც მრთელი, შეიცავს კაპიტალის დაუშრეტელ წყაროს. განა თქვენ არ ხედავთ, რამდენი მანქანა იჟანგება, რამდენი ქარხანა უმოქმედოთ არის, რამდენ სახლში არა ცხოვრობენ!

სანამ მუშები მუშაობენ, ისინი მაძღრები არიან; კაპიტალისტის თვითნებობით უსაქმოთ დარჩენილი კი ძლივს ძლივობით ცხოვრობს ნახევრათ მშიერ-მწყურვალე. მაგრამ მუშები რომ თავისი ინიციატივით მუშაობდენ, ისინი და თანხმდებოდენ, თუ ეს მართლა საჭიროა, დათანხმდებოდენ მუშაობაზე მშიერ-მწყურვალენი, რადგან მათ ეცოდინებოდათ, რომ ეს ერთდროული მსხვერპლი მათ შეძლებას მისცემს გამოვიდენ სიღარიბისა და დამოკიდებულობის მდგომარეობიდან.

წარმოიდგინეთ თქვენ,—და ეს არა ერთხელ მომხდარა,—რომ მიწის ძვრა ანგრევს ქალაქს, მთელ მხარეს ნანგრევებათ აქცევს ხოლმე. პატარა ხანში ქალაქი აშენდება კიდევ უკეთესი, ვიდრე აქამდის იყო, და მთელ მხარეში არ დარჩება დანგრევის კვალიც კი. რადგან ამ შემთხვევაში კაპიტალისტები და მესაკუთრეები დაინტერესებული არიან იმით, რომ მუშაობა დაიწყოს, სახსარი უცებ ჩნდება და თვალის დახამხამებაში შენდება მთელი ქალაქი იქ, სადაც რამოდენიმე ათი წლის განმავლობაში გვარწმუნებდენ, რომ არა გვაქვს საშუალება რომ მუშებისთვის რამოდენიმე სახლი ავაშენოთ.

რაც შეეხება სიმდიდრის განაწილებას, რომელსაც მოიტანს რევოლიუცია, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ხალხი, რომელიც ამოძრავებულია შეგნებული სურვილით და მიილტვის იქითკენ, რომ საუკუნოების მიერ მოგროვებული სიმდიდრე შეიქმნეს საერთო, არ მოინდომებს

ტანი კამპარი ძალიან იყო დაშავებული. გაფიცულები გაგიჟებულისავით აგრევდნენ ყველაფერს.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო*) რედაქტორო!

ნება მიბოძეთ, არა ანარქისტმა უგულწრფელესი თანაგრძნობა გამოგიცხადოთ „მუშა“-„ნობათის“-ს რედაქტორ-გამომცემლებსა და თანამშრომლებს, მაგრამ არა იმისთვის, რომ ჩვენს გაყოყოჩებულ—გათვითმპრობელებულ სოციალ-დემოკრატებს კბილის მატლად გაუჩნდეთ, სიმართლის ალნუსხვით ბევრი მწარე სამსალა ასვით და საგრძნობლად შეურყიეთ საბძანებელ ტახტი, არა! —მე დიდი უკმაყოფილოკა ვარ, რომ ხსენებულს თქვენს გაზეთებში ხანდისხან მეტად უმართებულო კილოთი, ლანძღვა-გინებით იხსენიებენ სოციალდემოკრატებს, რომელთაც სიმართლე უნდა ვთქვათ—დიდი ღვაწლი მიუძღვით ხალხის გამოფხიზლება — გათვითცნობიერებაში (თუმცა უსამართლობა იქნება ისიც არ აღვნიშნოთ, რომ ამ მხრივაც ე. ი. ლანძღვა გინებისა დ უმართებულობის, — სოციალ-დემოკრატებს დიდი ღვაწლი მიუძღვით ქართველ მწერლობის წინაშე დ თქვენზედ უფრო მდიდარი ლექსიკონიცა აქვთ!)—,არამედ იმისთვის, რომ რაღაც ერთმა მუჰა უსახსრო, უთანაგრძნობ ჯგუფმა სრულად დაივიწყეთ პირათ კეთილ-დღეობა, მოსვენება, შიში; სრულიად მოუმზადებელს ნიადაგზე, ყამირზე გამოდით სამუშაოდ და შეუპოვრად, მედგრად შეებრძოლეთ ყოველგვარ დამაბრკოლებელ ძალებს თქვენის რწმენის, თქვენის იდეების განსახორციელებლად; და აი, სულ მოკლე დროში კულტურულ საშუალებით, სიტყვითა და კალმით,—და არა ტერორით და ყუმბარებით—მიიზიდეთ საზოგადოება და მოიპოვეთ მისი სიმპატია. პირადათ მე არ თანაუგრძნობ ბევრს რამეში თქვენს მოძღვრებას, მაგრამ ეს სრულიად ხელს არ მიშლის, სულითა და გულით ვისურვო, რომ თქვენი სამაგალითო ენერგია და შეუპოვარი აღფრთოვანება არამც თუ არ განელებულიყოს, არამედ სხვებიც აღეფრთოვანებინოს და გამოეწვიოს მათში თქვენდამი მეტი ნდობა და თანაგრძნობა. დე, ყოველს მოძღვრებას, ყოველს მიმართულებას ქქნეს თავისუფლად სავალი გზა, რომ ხალხმა, ამ საუკეთესო მსაჯულმა, შესძლოს დაუბრკოლებლად მათი გაცნობა. და თავისი სინიდისის მიხედვით, ძალდაუტანებლად არჩევა.

დასასრულ ნება მიბოძეთ, ჩემი ღარიბი ჯიბიდან გაახლოთ ეს მცირე წვლილი (ერთი თუმანი), რომ ამ ფულით სამი თვის განმავლობაში სხვა-და-სხვა ადგილას უგზავნოთ გაზეთი „მუშა“ ნამდვილს, დაუბრმავებელ მუშებს, რომელნიც „ლამპრის გაფანატიკოსებულ მუშებივით ძველი მთავრობის სამარცხვინო როლს არ კისრულობენ; არ სდევნიან კრიტიკას, თავისუფალ სიტყვას, თავისუფალ აზრსა და დახურვას არ ემუქრებიან თავისუფალ მოაზრე ორგანოებს**).

არა ანარქისტი დონ-ვალიანი.

*) თუმცა ბევრს ჭირივით ეზარება სიტყვა «ბატონო»-ს ხმარება და ახალმოდურად ყველას ,,ამხანაგო''-ს უწოდებს, მაგრამ ეს მეტიჩრობად მიმაჩნია: რა ჩემი ,,ამხანაგი'' იქნება ისეთი პირი, რომელსაც მე ვერც კი ვიცნობ, რომელიც თვალითაც კი არასოდეს მინახავს?!

**) თანახმად ამ წერილისა მივმართავთ სხვადასხვა მუშებთა ჯგუფებს მოგვაწოდონ თავიანთ ადრესები, რათა უფასოთ გაუგზავნოთ გაზეთ. ,,მუშის'' ნომრები.

# დეპეშები

(პეტერბურგის სააგენტო დეპეშები).

—

**მოსკოვი** იაროსლავის რკინის გზაზედ, მატარებელში, შელკოვის ახლო, ოთხმა შეიარაღებულებმა, მოჰკლეს მიტიშჩინსკის ქარხნის არტელშჩიკი, რომელსაც მიჰქონდა 20,000 მანეთი. ფული მოიტაცეს. მკვლელნი მიიმალნენ.

**პეტერბურგი.** სამმა ახალგაზრდებმა, სტუდენტის ფორმაში გამოწყობილებმა, მთავარ საადმირალოში, დასჭრეს 1 დარაჯი და ხაზინადარი, მოიტაცეს ოც-და ოთხი ათასი და მიიმალნენ.

**ბელოზერსკი.** სოფელ პავლოვში, გლეხებმა მოახდინეს დემონსტრაცია, წითელი დროშებით. მოხდა არეულობა.

**კაზანი.** ციმბალოვის მამულში დაიწყო აგრარიული მოძრაობა.

**სევასტოპოლი.** მთავარ კომანდორი ადმირალი ჩუხნინი, ... არის დაჭრილი, გულში და ... ვინტოვკით უცნობის პირით, ... მელიც გადაცმული იყო. მატრ... ფორმაში. მსროლელი მიიმალ...

**ვარშავა.** სამხედრო ოლქის სამართლომ ვოიცეხოვსკის, ... იავორსკის და პიორუნკევიჩს, ... მელთაც ბრალი ედებოდათ ... მინსკის მაზრის უფროსის ... ვიჩის მკვლელობაში, გადაუწყ... ჩამოხრჩობა.

**სიმფეროპოლს.** ღამით ... ლი ბოჭაულის თანაშემწე კოვ... ვი გარდაიცვალა.

**ვარშავა.** გაიტაცეს ... ღვინის დუქნებში, რვა ქუჩაზე...

**სიმფეროპოლი.** გაძარცვეს ... ზჩანთა“ თვითმმართველობა. ... ცველებმა წაიღეს ხუთასი საპას... ტო წიგნაკი და მიიმალნენ.

**სევასტოპოლი.** შუაღამ... გარდაიცვალა ადმირალი ჩუხნ... ნაშთები გადატანილ იქმნა ... ლეში.

**ბელოსტოკი.** ტყეში ... ლისთან მშვიდობიანათ დასვენებ... მუშებს შეტაკება მოუხდათ ... ჯებთან. სროლის დროს ... ერთი მუშა.

**ბრესტ-ლიტოვსკი.** გაიფიცნ... გილზო ქარხნების მუშები. მოით... ნილება რვა საათის სამუშაო დ...

**ბელოსტოკი.** ფაბრიკის ქუჩ... დაჰკეტეს ფარული სტამბა.

რედაქტორ-გამომცემელი

მიხეილ დიასამ...

იმის განადგურება და გაქარწყლებას, რაც უნდა შეიქმნეს მისი სამკვიდრებელი. ყოველ შემთხვევაში ეს არ იქნება თავისი შედეგებით, მიწის ძვრაზე უფრო მეტი საზარალო.

თავის თავათ იგულისხმება, რომ შეგვხდება ბევრი სიძნელე, სანამ ყველაფერი მოეწყობოდეს. მაგრამ მე წინდაწინვე ვხედავ მხოლოთ ორ დიდ სიძლიერეს, რომელთაც პირველ ყოვლისა ანგარიში უნდა გავუწიოთ: ეს არის ხალხის შეუგნებლობა და... ჟანდრები.

ამბრუაზ. მაგრამ ერთი მითხარით მე,—აი თქვენ ლაპარაკობთ კაპიტალზე, შრომაზე წარმოებაზე მოხმარებაზე და სხვ. მაგრამ უფლება (право), მართლმსაჯულება, ზნეობა,—ამათზე თქვენ კრინტსაც არა სძრავთ. საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მოვიხმაროთ მიწა და კაპიტალი,—ძალიან საჭირო კითხვაა; მაგრამ ამაზე უფრო საჭიროა ზნეობის ძირითადი კითხვები. მეც ძალიან მსურს, რომ ყველა კარგათ ცხოვრობდეს, მაგრამ თუ ამ უტოპიების განსახორციელებლათ გალახულ უნდა იქმნეს ზნეობრივი კანონი. თუ უარი უნდა ვსთქვათ საუკუნოების მიერ განმტკიცებულ სამგრთლიანობის პრინციპებზე, რომელნიც საფუძვლათ ედება ყოველ განათლებულ ს. ზოგ-დოებას, ოო, მაშინ მე ათასწილათ ვარჩევ მოვურიგდე თანამედროვე წესწყობილებას მთელი მისი უბედურებით. დაანებეთ თავი ერხელ და სამუდამოთ შეუგნებელ ბრბოს აღელვებასა ნუ აღვიძებთ ბედისაგან დაჩაგრულთა სულში აჩრდილებრივ იმედებს, ნუ აღვიძებთ ცეცხლს, რომელიც, საუბედუროთ, განუწყვეტლივ ქრება ნაცარს ქვეშ! ნუ თუ თქვენ, ოო! თანამედროვე ბარბაროსებო, მოინდომებთ დამარხოთ სოციალურ წყობილების ნანგრევებს ქვეშ ის კულტურა, რომელიც შეადგენს ჩვენს სიამაყეს და ჩვენი მამაპაპის დიდებას? თუ თქვენ გინდათ კეთილი საქმე ქნათ, თუ თქვენ გინდათ, რომ შეუმსუბუქოთ, რამდენადაც შეიძლება, ბედკრულთ ტანჯვა-ვაება ასწავლეთ მათ სიმშვიდე და თავის შავ-ბედის მორჩილება, რადგანაც ჭეშმარიტი ბედნიერება მდგომარეობს იმის ცოდნაში რომ დაკმაყოფილდეთ, იმით რაც გაბადია. დასასრულ, თვითეული კაცი ხომ ტვირთულობს თავის ჯვარს, საზოგადოების ყოველ კლასს ხომ თავისი სიდუხჭირე და თავისი ვალდებულებანი აწუხებს, და ისინი, ვინც ფუფუნებაში ცხოვრობენ, ყოველთვის არ არიან ყველაზე ბიდნიერები.

გეორგ. კმარა, კმარა, პატივცემულო მსაჯულო! თქვენ ჯიბეში შეინახეთ თქვენი უმაღლესი პრინციპები და თქვენი პროფესიონიალური აღშფოთება. ჩვენ არა ვართ სასამართლოში და ეხლა მე არც დამნაშავე ვარ. როცა თქვენ გისმენთ, ძნელი არ არის იმის გაგება, თუ რომელ ბანაკს ეკუთვნით თქვენ! ასე ტკბილათ გალობენ მოთმინებაზე და მორჩილებაზე მხოლოთ ისინი, ვისაც ღარიბები თავის მხრებით ატარებენ!

ჩემი ფიქრი კი, თუ უფლება, მართლ-მსაჯულება და ზნეობა ითხოვენ დევნა-შევიწროებას და ძალმომრეობას თუნდაც ერთი ადამიანის არსებაზე, მაშინ თქვენი უფლებაც, თქვენი მართლმსაჯულებაც და თქვენი ზნეობაც—მხოლოთ სიყალბეა, უვარგისი იარაღი, გაქედილი რჩეულთა დასაცველათ. უფლება, მართლმსაჯულება, ზნეობა ერთი უნდა იყოს ყველასათვის; ... ნააღმდეგ შემთხვევაში კი ისინი ... ვიწროების და უუფლებების ... ნიმებია. ეს ჭეშმარიტება სა... ლათ ედება კაცთა საზოგადო... არსებობას და განვითარებას, ... მტკიცდა ადამიანის გონებაში ... მოიპოვა უფრო და უფრო მნიშვნელობა, მიუხედავათ ... რომ ამას წინააღმდეგობას ... ისინი, ვინც ბატონობდენ ... მხოლოთ საცოდავი სოფიზმებ... ლობით შეგიძლიათ თქვენ შე... მოთ და მოარიგოთ აწ არს... სოციალური დაწესებულებანი ... ობის და სამართლიანობის ... ლეს პრინციპებთან.

ამბრუაზ. ეს კი ნამეტანი ... იმედია. რამდენათაც მე თქვენ ... ხვდით, თქვენ არა მარტო ... ჰყოფთ, მაგალითად, საკუთ... არამედ კიდევაც ბედავთ იმის ... ცებას, რომ თვით ეს უფლება ... ზედ არ შეიძლება დაცულ ... უმაღლეს პრინციპების თვალ... თი ისრიდან.

გეორგ. დიახ, სახელდობ ... სვე ვამტკიცებდი მე! თუ თქვენ ... ბავთ, ამას დაგიმტკიცებთ შემდ...

კ. ჭუბ...

(გაგრძელება იქნება.)

ელექტრონის სტამბა მიხეილ ექვთიმეს-ძე ხელაძისა, სოლოლაკი, პასკევიჩის ქუჩა სახ. № 3.